სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 42

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (ს/კ 249250484) (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მებონიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს "ნექსია თიეი აკადემია"** (ს/კ 405175803) (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბორის მეგრელიშვილის** სახით, სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვის საშუალიებით **CPV კოდი: 80510000 – „მომსახურებები სპეციალისტების მომზადების სფეროში" შესყიდვა.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **900.00 (ცხრაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს**.

2.2 გასაწევი მომსახურების ფასები: ტრენინგი - EXCEL-ის კურსი ბუღალტრებისთვის ერთი მსმენელისთვის - 450 ლარი.

2.3 გასაწევი მომსახურების რაოდენობაა: ტრენინგი 2 მსმენელისთვის - საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი) - ნინო ღამბაშიძე; საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სალომე საჯაია.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა ან/ და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება და საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის 12.

5.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2023 წლის 15 აპრილამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს მომსახურების მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარის 10 კალენდარული დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის 11 ნაწილის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს "ნექსია თიეი აკადემია"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას განზ. N16	მის: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის 12
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 405175803
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა № GE56TB7730436080100008
ტელ: 2376467	ტელ: +995 32 242559
აპარატის უფროსი	დირექტორი
ზურაბ მებონია	ბორის მეგრელიშვილი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.03.09 15:03:58 +04'00'

Boris Megrelishvili 54001013510

Digitally signed by Boris Megrelishvili
Date: 2023.03.09 12:07:16

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვის N42 ხელშეკრულებაში შპს "ნექსია თიეი აკადემიის" (ს/კ 405175803) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს
აპარატის უფროსი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2023.03.09 15:04:20 +04'00'

ზურაბ მებონია